ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4212128

ნომერი: AR1635561

თარიღი : 05.10.2018

გაცემის თარიღი : 10.10.2018

გაცნობის თარიღი : 10.10.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სოხუმი , N 4-6ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბაგრატ პაკელიანი პ/ნ 62001024700
- სოხუმი ი.ჭავჭავაძის ქ. N 50

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : #2741919
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 27.07.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
საჭიროა წარმოდგენილი იქნას იბა "სოხუმის -ის" თავმჯდომარის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა ან თავმჯდომარე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. ასევე, საჭიროა წარმოდგენილი იქნას ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შესაბამისად შედგენილი კრების ოქმი განხორციელებელი მშენებლობის დადასტუებასთან დაკავშირებით. ასევე, თუ იცვლება ინდივიდუალური ფართების საჯარო რეეტრის ამონაწერში დაფიქსირებული ფართობი, საჭიროა წარმოდგენილი იქნას შეაბამისი განმარტება. მიეთითოს ყველა ასეთი ფართი (საჭიროების შემთხევაში გეგმაზე) და წარმოდგენილი იქნას შეაბამისი მესაკუთრეების, მომავალი მესაკუთრეებისა და იპოთეკარების თანხმობები
1.„ფასადებზე აივნის ფილები ნაწილობრივ მოსაპირკეთებელია, ხოლო კარ-ვიტრაჟების ძირები ნაწილობრივ შესავსებია. ლითონის მოაჯირების ნაწილი შესაღებია . ფასადებზე კედლების ნაწილი მოსაპირკეთებელია.“
-დაასრულეთ აღნიშნული სამუშაოები.
2. „ნაწილობრივ ფასადების ღებვა არ შეესაბამება საპროექტის.“
-აღნიშნული კარგად უნდა იკვეთებოდეს ფოტომასალაზე. თქვენს მიერ წარმოდგენილი ფოტოებით სამსახური ვერ მსჯელობს საკითხზე.
3.“აივნებზე ნაწილობრის დამატებულია ტიხრები.“
-არ დგინდება რა ტიხრებზეა საუბარი. გამოყავით ფოტოებზე და გაითვალისწინეთ , რომ თუ აღნიშნულით ირღვევა შენობის იერსახე მაგ შემთხვევაში სამსახური ამ პუნქტს ვერ დააკმაყოფილებს.
4. „1 ღერძის გარეთ მდებარე აივნებზე +23,85 ნიშნულიდან +40,35 ნიშნულემდე კედლების სიმაღლე შემცირებულია, ხოლო 51,05 ნიშნულზე გაუქმებულია.“
- საჭიროა აღადგინოთ კედელი, ხოლო დანარჩენი კედლების სიმაღლე გაზარდოთ პროექტის შესაბამისად.
5. „11-12 მონაკვეთში +4,60 ნიშნულზეტერასა შევსებულია და მოწყობილია შიდა ფართი.“
-წარმოადგინეთ ნახაზი დამოწმებული ზედამხედველობის სამსახურის მიერ, სადაც დატანილი იქნება აღნიშნული ამოშენებული ფართობი და გაითვალისწინეთ, თუ ამ ფართობის და დანარჩენი დამატებული რაიმე ფართობის, კ2 კოეფიციენტის დათვლისას გადააჭარბებს დაშვებულს სამსახური ვერ დააკმაყოფილებს ამ პუნქტს.
6. „ზ’-ე მონაკვეთში +4,60 ნიშნულზე დამატებულია ღიობი, გამწოვი და კონდენციონერი, ხოლო მის ზევით დამატებულია ერთი გამწოვი.
- წარმოადგინეთ ზედამხედველობის მიერ დამოწმებული გეგმები აღნიშნულისჩვენებით. გაითვალისწინეთ თუ გამწოვი მილი ან რაიმე საჰაერო ეწყობა მიჯნის დარღვევით სამსახური აღნიშნულს ვერ დაადასტურებს ამ პუნქტს. ასევე კონდენციონერის აგრეგატი უნდა მოწყობილი იყოს ერთიანი სისტემით, უხილავ ადგილებში.
7.“+37,05 ნიშნულზე გაუქმებულია კაპიტალური კედელი.
-მოაწყეთ აღნიშნული.
8.“+40,35 ნიშნულს ზევით „ზ’-ზ“ მონაკვეთში მინაბლოკის ნაცვლად მოწყობილია ვიტრაჟები.
-აღნიშნული განთავსებულია მიჯნის ზონაში, შესაბამისად თუ არ წარმოადგენთ მეზობელი ნაკვეთის თანხმობას ამ პუნქტს ვრე დაგიკმაყოფილებთ.
9.“კ-ა’ ფასადი: „გ-დ მონაკვეთში დამატებულია გამწოვი.“
წარმოადგინეთ ზედამხედველობის მიერ დამოწმებული ნახაზი.
-თუ დარღვეული მიჯნა ვერ დაგიკმაყოფილებთ.
10. „ი-კ მონაკვეთში +23,85 ნიშნულის ქვემოთ ვიტრაჟებზე გაუქმებულია მოაჯირები.“
- მოაწყეთ მოაჯირები.
11.“... კიბის უჯრედის გადახურვაზე ფიქსირდება ლითონის ნაშვერები“
- გამოასწორეთ.
12. „ 10-11 მონაკვეთში საავტომობილო პანდუსის სიგანე სემცირებულია. „
-წარმოადგინეთ ნახაზი დამოწმებული ზედამხედველობის სამსახურის მიერ და აღნიშნული არ უნდა იყოს დაშვებულზე ნაკლები.
13. „9-10 მონაკვეთში შეავსეთ კედელი.’
14. „7 და 8 ღერძებზე მდებარე პანდუსის დახრა აღემატება დასაშვებ ნორმას და შეადგენს 15%-ს. 11-12 მონაკვეთში გაუქმებუია პანდუსი. ი ღერძის გარეთ 5-10 მონაკვეთში დამატებულია კოლონები .... 4-თ ღერძის კვეთზემდებბარე

პანდუსის სიგრძე შემცირებულია, შეცვლილია დახრა და შეადგენს 12%-ს.
აღნიშნული დარღვევები მიუღებელია. წარმოადგინეთ ნახაზი დამოწმებული ზედამხედველობის სამსახურის მიერ სადაც აღნიშნული დარღვევები აღარ იკვეთება.
15. „კ ღერძზე დამატებით მოწყობილი რკინაბეტონის კონსტრუქცია ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს.“ აღნიშნული დარღვევა დაუშვებელია. მოშალეთ.
გაითვალისწინეთ იმ დარღვევებისათვის რაზეც არ მიგითითეთ ნახაზის წარდგენა უნდა მოიტანოთ აღნიშნული დარრვევების გამოსწორების დოკუმენტი.
ასევე წარმოადგინეთ ექსპერტის შეფასება შენობის კონსტრუქციულ ნაწილზე, რომ დარღვევით ნაწარმოებმა სამშენებლო სამუშაოებმა არ იმოქმედა უარყოფითად შენობის კონსტრუქციულ მდგრადობაზე. აღნიშნული დოკუმენტი უნადა იყოს დამოწმებული სპეციალისტის მიერ.
წარმოადგინეთ მაღალი ხარისხის ფოტომასალა, ყველა ფასადის ჩვენებით სრულად. დაიტანეთ ტარიღები.
წარმოდგენილი დოკუმენტაციით შესაძლებელია ვერ დაგიდგინოთ ყველა ხარვეზი ამ ეტაპზე.

გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.